



MES 3 20 0001218897



22/12/2020

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 08.12.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:08 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:17 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

## სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

| N | სახელი, გვარი    | სტატუსი                                                                   |
|---|------------------|---------------------------------------------------------------------------|
| 1 | ლალი ოდიშვილი    | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი        |
| 2 | გაგა გვენეტაძე   | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი |
| 3 | ქრისტინე აბულაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი  |
| 4 | ნინო შიოშვილი    | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი |

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

| N  | სახელი, გვარი     | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება      | სტატუსი                                                                                               | საკითხი |
|----|-------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|
| 1  | თეა კორძაძე       | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი                                                              | I       |
| 2  | ომარი კიკვიძე     |                                               | საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი                                                                 | I       |
| 3  | პაატა გერაძე      |                                               | საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი                               | I       |
| 4  | ჯუმბერ ჩოგოვაძე   |                                               | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის“ ხელმძღვანელი | I       |
| 5  | გოჩა ლეკვეიშვილი  |                                               | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის“ ხელმძღვანელი | I       |
| 6  | იაგორ კალანდაძე   | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი          | პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი                                                                     | II      |
| 7  | ნინო მახაშვილი    |                                               | პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი                                                         | II      |
| 8  | დავით ოთიაშვილი   |                                               | ასოცირებული პროფესორი                                                                                 | II      |
| 9  | ირმა კირთაძე      |                                               | ასისტენტ პროფესორი                                                                                    | II      |
| 10 | ნინო მირზიკაშვილი |                                               | ასოცირებული პროფესორი                                                                                 | II      |
| 11 | გიორგი გოცაძე     |                                               | ასოცირებული პროფესორი                                                                                 | II      |

|    |                     |                                              |                                                                                                                                     |         |
|----|---------------------|----------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|
| 12 | ივანე აბიათარი      |                                              | ასოცირებული პროფესორი                                                                                                               | II      |
| 13 | დავით თარხნიშვილი   |                                              | პროფესორი, დეკანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი                                                          | II      |
| 14 | ელენე ჟურავლიოვა    |                                              | ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი | II      |
| 15 | ნინო ჟვანია         |                                              | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი                                                                                            | II      |
| 16 | თინათინ ზაქარაშვილი | შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი<br>სეუ | ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი                                                                                    | III     |
| 17 | ნონა ზუმბაძე        |                                              | ხარისხი განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი                                                                                     | III, IV |
| 18 | გიორგი ღავთაძე      |                                              | ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით                                                                                                | III, IV |
| 19 | მადონა კეკელია      |                                              | ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი                                                                                      | IV      |

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

| N | სახელი, გვარი         | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|-----------------------|--------------------------------------------------------|---------|
| 1 | მანანა მოისწრაფიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“)                                       | I       |
| 2 | გივი სანაძე           | (ჩაერთო „ზუმით“)                                       | I       |
| 3 | თინათინ გვაძაბია      | (ჩაერთო „ზუმით“)                                       | I       |
| 4 | თამარ ლობჯანიძე       | (ჩაერთო „ზუმით“)                                       | II      |

|   |                      |                  |     |
|---|----------------------|------------------|-----|
| 5 | ირინე ფხაკაძე        | (ჩაერთო „ზუმით“) | II  |
| 6 | ნათია<br>ნოღაიდელი   | (ჩაერთო „ზუმით“) | II  |
| 7 | ელენე ხურციძე        | (ჩაერთო „ზუმით“) | II  |
| 8 | ხათუნა კაჭარავა      | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 9 | თინათინ<br>ფანცულაია | (ჩაერთო „ზუმით“) | IV  |

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:08 საათზე**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ-ს "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ-ს "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| №  | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ                                                         |                                                                                     |
|----|------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|
| 1  | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                                                                 | სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა                                     |
| 2  | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა                                                          | -                                                                                   |
| 3  | სტატუსი                                                                                              | აკრედიტებული                                                                        |
| 4  | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა                  | გადაწყვეტილება №25<br>16.09.2011                                                    |
| 5  | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება                          | -                                                                                   |
| 6  | უმაღლესი განათლების საფეხური                                                                         | ბაკალავრიატი                                                                        |
| 7  | კვალიფიკაციის დასახელება                                                                             | ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი                                                    |
| 8  | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | -                                                                                   |
| 9  | სწავლების ენა                                                                                        | ქართული                                                                             |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა                                                                     | 240                                                                                 |
| 11 | განხორციელების ადგილი                                                                                | ახალგაზდობის გამზ. №98, ქუთაისი, 4600, საქართველო.<br>სასწავლოკორპუსი № 7, 8, 9, 11 |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება                  | -                                                                                   |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

## ექსპერტების პოზიციის განხილვა

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს, მანანა მოისწრაფიშვილის, გივი სანაძისა და თინათინ გვამაბიას მიერ. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს მოქმედი საბაკალავრო პროგრამების „ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობისა“ და „სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა“ სინთეზის საფუძველზე მოდიფიცირებულ ვერსიას. პროგრამა ხორციელდება 4 წლის განმავლობაში, 8 სემესტრად, მისი მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, რომელშიც შედის:

- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 180 კრედიტის მოცულობით (I-VII სემესტრი);
- თავისუფალ კომპონენტებს - 30 კრედიტის მოცულობით (II-VII სემესტრი);
- 4 კონცენტრაციას, თითოეულს-30 კრედიტის მოცულობით (VIII სემესტრი).

საკრედიტაციო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 პირი, აქედან 33 აკადემიური პერსონალია, ერთი კი მოწვეული.

**„სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები:**

- პირველი სტანდარტი: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.1 და 1.2 კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან:

1.1 პროგრამის მიზნები: საჭიროა პროგრამის მიზანი დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0716 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას „მოდრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების, გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის მიმართულებები“, რომელიც მიეკუთვნება „ტრანსპორტის მომსახურების“ (დეტალური სფერო 1041) სწავლის სფეროს - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადია, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა ზემოთ აღნიშნული უზუსტობის მიზეზად დაასახელეს ის ფაქტი, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შექმნილია ორი მოქმედი საბაკალავრო პროგრამის „ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა“ და „სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა“ სინთეზის საფუძველზე, რომლებსაც ტრადიციულად ახორციელებდა უნივერსიტეტი და რადგან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ №69/ნ ბრძანების მე-2 დანართში 1041 დეტალურ სფეროში „ტრანსპორტის მომსახურებები“ არ აძლევდათ გადაზიდვების ორგანიზაციისა და ლოგისტიკის მიმართულებით ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის

დამოუკიდებლად გაკეთების შესაძლებლობას, განხორციელდა მათი შეერთება. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტები და რეკომენდაციის სახით გასცა ზემოაღნიშნული;

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები: 1.1 კომპონენტის შესაბამისად, რადგან სწავლის მიზანში მოხვდა 1041 სწავლის სფეროს შესაბამისი მიზანი და სწავლის შედეგები და მიზანი უნდა ყოფილიყო შესაბამისი ერთმანეთთან, უნივერსიტეტს დაცული ჰქონდა აღნიშნული, იგივე პრინციპით და მიეცა რეკომენდაცია: საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0716 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას „მომზადების ორგანიზაციისა და უსაფრთხოების, გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის მიმართულებები“, რომელიც მიეკუთვნება „ტრანსპორტის მომსახურების“ (დეტალური სფერო 1041) სწავლის სფეროს;

- მეორე სტანდარტი: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.2 და 2.4 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი: რადგან მიზანსა და სწავლის შედეგებში მოხდა 1041 სწავლის სფეროს შესაბამისი ფრაზები, აქედან გამომდინარე სასწავლო პროგრამაში შემავალი: „კონცენტრაცია 1 - ტრანსპორტის უსაფრთხოება“ და „კონცენტრაცია 2 - სატრანსპორტო მომსახურება“ საჭიროა იქნას ამოღებული ან გადატანილი თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებში, ვინაიდან არ პასუხობენ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს „0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები“ მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია მეწილად შესაბამისობად, ვინაიდან 1041 სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები ძირითადად წარმოადგენდა არჩევით კომპონენტს, რომელშიც სულ შედის ოთხი სასწავლო კურსი, აქედან მხოლოდ ორი სასწავლო კურსია 1041 სფეროს შესაბამისი, მისი მოხსნა და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებში გადატანა არ წარმოადგენს სირთულეს, ასევე არ არღვევს პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს, იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას სტრუქტურა, შინაარსი და მიზანი გასწორდება/ შესაბამისობაში მოვა „0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდების“ მოთხოვნებთან; სასწავლო კურსებისთვის: „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“, „თერმოდინამიკა და სითბოგადაცემა“, „ჰიდრო და აერომექანიკა, ჰიდრო და პნევმო ამძრავები“ საჭიროა განისაზღვროს წინაპირობა „ფიზიკა“;

2.3 სასწავლო კურსი: ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია სრულ შესაბამისობად მოთხოვნებთან, შესაბამისად არ გასცეს რჩევები/რეკომენდაციები;

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: საჭიროა პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი იყოს პრაქტიკის მიზანი და სტუდენტების რაოდენობა;

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები: ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია სრულ შესაბამისობად მოთხოვნებთან, შესაბამისად არ გასცეს რჩევები/რეკომენდაციები;

2.6 სტუდენტების შეფასება: ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია სრულ შესაბამისობად მოთხოვნებთან, შესაბამისად არ გასცეს რჩევები/რეკომენდაციები;



- მესამე სტანდარტი: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით გამოკვეთილია, როგორც პრაქტიკული, ისე სტუდენტთა სხვადასხვა ინტერესების დაცვა, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველწლიურად აწყობს, როგორც გაცნობით შეხვედრებს, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, მათ აქვთ საშუალება ჩაერთონ პროექტებში, რეალურად, წარდგენილია სტატისტიკური მონაცემები და სხვადასხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე ინტერვიუებითაც დადასტურდა. მიუხედავად ამისა მათ მაინც ჩამოუყალიბდათ გარკვეული რეკომენდაცია.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება: მნიშვნელოვანია, აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობაში, ფუნქცია-მოვალეობებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტში არ არის კონსულტაციები, რაც გაწერილია სილაბუსებში. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მათ კონსულტაციის შესაძლებლობა ნამდვილად ეძლევა, თუმცა ეს არ იყო გაწერილი არც სამუშაო აღწერაში და არც ფუნქცია-მოვალეობებში, გარკვეული ხარვეზები იყო სილაბუსებში, მაგ., ორ სილაბუსში მითითებული იყო ერთიდაიგივე კონკრეტული დრო, რომელიც სასურველია, რომ არ იყოს დაკონკრეტებული და კურსის დაწყების წინ სხვა ფორმით ახდენდნენ იფორმირებას, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია;

აუცილებელია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, არც აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არიან ნულოვან დონეზე, უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კონფერენციებში/კვლევებში, დაწესებულებას წარდგენილი აქვს 12 კონფერენციის მოხსენება, ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუ ჰქონდა შუქნიშნების პროექტში მონაწილე სტუდენტთან, ასევე, სტუდენტებმა ისაუბრეს მოძრაობის ორგანიზაციის კვლევის პროექტზე, თუმცა არ გამოიკვეთა საერთაშორისო მობილობის, საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დადასტურება აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს ამის პრაქტიკა გააჩნია;

- მეოთხე სტანდარტი: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ 4.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაში;

4.1 ადამიანური რესურსი: პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 34 პირი, რომელთაგანაც 33 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს - 7 პროფესორი, 25 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. აკადემიური პერსონალიდან 33-ვე აფილირებულია, პროგრამაში ჩართულია 1 მოწვეული პერსონალი, შესაბამისად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა, ასევე, განამახორციელებელ პერსონალსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, პროგრამას ჰყავს 2 ხელმძღვანელი, რომელთა პირადი საქმეების გაცნობითა და გასაუბრებით დგინდება, რომ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის და განვითარებისთვის საჭირო ცოდნა, ორივე მათგანი წლების განმავლობაში ახორციელებს სწავლებასა და კვლევებს დარგის მიხედვით და

უმუშალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებაში. განმახორციელებელ პერსონალს აქვს ყველა ის კომპეტენცია, რაც მოეთხოვება უმაღლესი საფეხურის პროგრამის განხორციელებას;

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3 მატერიალური რესურსები: აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით გაწერილია ერთი რეკომენდაცია, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი დაწყებულია წინა აკრედიტაციიდან (რომლის დასკვნაზე წვდომა ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა), ექსპერტთა ჯგუფთან ინტევიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წინა დასკვნაში მითითებული იყო რეკომენდაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების შესახებ, რომელსაც ეტაპობრივად ასრულებენ, ექსპერტებმა ნახეს ახალაღჭურვილი ლაბორატორია ავტომობილების სერვისისთვის, თუმცა მიუხედავად ამისა მაინც საჭიროა, რომ უნივერსიტეტმა მოახდინოს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის, სასწავლო აუდიოტრიებისა და ფართის მოდერნიზება, შესაბამისად აღნიშნულ კომპონენტში მიიღეს რეკომენდაცია: აუცილებელია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ელექტრონული ვებ პორტალის გამართული მუშაობა, განსაკუთრებით არსებულ რთულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელების მიზნით;

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა: მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მცირე კონტიგენტიანია 50-50 სტუდენტის მიღება იყო დაგეგმილი, თუმცა დებულობდნენ 15-15%-ს და მეტი შევსება არ ფიქსირდებოდა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და განსაკუთრებით რექტორთან გასაუბრებისას, აღნიშნული საკითხის დასმისას განმარტეს, რომ წარმოდგენილი პროგრამა უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია და შესაბამისად მისი დაფინანსება ხდება დაწესებულების ბიუჯეტიდან, რომელიც ფაკულტეტს გამოუყოფს სახსრებს და აქედან ხდება მათი დაფინანსება, უნივერსიტეტის ბიუჯეტი მზარდია, ყველა დოკუმენტი წარდგენილია, ხარჯვის ლიმიტი არის ფაკულტეტებისათვის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ხარჯვის გადაწყვეტის უფლება, შესაბამისად ფაკულტეტი ხარჯავს აღნიშნულ თანხას და უნივერსიტეტი ასაბუთებს, რომ პროგრამის მდგრადობა, ფინანსური კუთხით იქნება უზრუნველყოფილი, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა საშუალება ეჭვი შეეტანა აღნიშნულ კომპონენტში და ჩათვალეს, რომ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- მეხუთე სტანდარტი: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ვინაიდან 5.1 და 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია, ხოლო 5.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

**16:20 საბჭოს სხდომას შემოუერთდა თამარ ტუფინაშვილი.**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის დეტალური განხილვისათვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია მიგნებები, რეკომენდაციები და კრიტიკული შეფასება, რადგან ეს პროგრამის გაუმჯობესების საწინდარია, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ორი პროგრამის გაერთიანებას, დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. უფრო

დეტალურად მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობასთან დაკავშირებით სასაუბროდ კი სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პაატა გერამეს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პაატა გერამე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან პირველი სტანდარტის შესახებ განაცხადა, რომ 2018 წელს შეიმუშავეს ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილი იქნა პროგრამების ოპტიმიზაცია, მათ შორის ტრანსპორტის მიმართულებაც, ზემოაღნიშნული ორი პროგრამა ძველი კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით ანიჭებდა ერთიადიმავე კვალიფიკაციას, ახალი პროგრამის შექმნის პროცესში კი შეიცვალა კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო დაუკვე ფორმირებული პროგრამა გადაეწყო ახალი ჩარჩოს მოთხოვნებზე, ამ პროცესში, თვითშეფასების ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნა კვალიფიკაცია ეროვნული ჩარჩოს მეორე მუხლის, მეხუთე პუნქტის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციები და პროგრამები შეესაბამება სწავლის სფეროს, თუ ძირითადი შინაარსი შეესაბამება დეტალური სფეროსა და მისი ხვედრითი წილი მეტია 50%-ზე. წარდგენილ პროგრამაში აღნიშნულ პუნქტთან შესაბამისობაში არის 180 კრედიტი, გარდა ამისა 0716 დეტალური სფეროს აღმწერში „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები“ - ძრავიანი ტრანსპორტის დაპროექტების, წარმოების, შენარჩუნების, დიაგნოსტიკის ტერმინებთან ერთად მითითებულია ტერმინი „მოსახურეობა“. პროგრამის ახალ ჩარჩოზე გადაწყობისას დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიჩნიეს, რომ ზემოაღნიშნული ტერმინი „მოსახურეობა“ შეიძლება დასკვნაში მითითებული კონცენტრაციების არსებობის საფუძველად ჩათვლილიყო, მითუმეტეს, 1041 დეტალური სფერო გულისხმობს ტრანსპორტის მომსახურეობას, სწავლის სფეროებში მითითებულ კვალიფიკაციებში ძირითადად ფიგურირებს საზღვაოსნო მეცნიერებები და საჰაერო ხომალდების მართვა, ასევე, 1049 პუნქტში „ტრანსპორტის მომსახურეობები არაკლასიფიცირებული“, არ არის გაწერილი სწავლის სფეროები და შესაბამისი კვალიფიკაციები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ტრანსპორტის უსაფრთხოება და სატრანსპორტო მომსახურეობა შესაძლებელია წარდგენილიყო პროგრამის შემადგენლობაში 0716 დეტალური სფეროს ქვეშ, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ ექსპერტთა მოსაზრებებს და მზად არიან ჩაასწორონ ხარვეზები.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან 1.1 კომპონენტის რეკომენდაციას და მისი გათვალისწინების შემდეგ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „ტრანსპორტის ექსპლუატაციის და ტექნიკური სერვისის მიმართულებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება; ბაკალავრისათვის ზოგადტრანსფერული და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ შემოქმედებითად მიუდგენენ ტრანსპორტის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას.“

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ 1.2 კომპონენტის შესაბამის რეკომენდაციას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდება გაცემული რეკომენდაციის მიხედვით და ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

- ცოდნა და გაცნობიერება: (1) აღწერს სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის, დიაგნოსტიკის, სერვისის, რემონტის, მეთოდებს; (2) ახასიათებს ტრანსპორტის სფეროში გამოყენებულ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს; (3) აღწერს ტრანსპორტის სერვისულ ობიექტებზე და სატრანსპორტო პროცესებისას შრომის ორგანიზაციის, უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს;
- უნარი: (1) სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით, ირჩევს დიაგნოსტიკის მეთოდებს, მომსახურეობის პროცესის ორგანიზაციისა და მართვის ფორმებს; (2) აანალიზებს ტრანსპორტის კონსტრუქციული უსაფრთხოების და ეკოლოგიის პრობლემურ საკითხებს და დასახავს აღმოფხვრის

ლონისძიებებს; (3) პროფესიულ და არაპროფესიულ გარემოში გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს და ახდენს მათ არგუმენტირებულ დასაბუთებას;

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: (1) ადარებს საკუთარ ცოდნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და განსაზღვრავს პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებებსა და შესაძლებლობებს; (2) „ითვალისწინებს ტექნიკური მომსახურების ყველა სტადიაზე უსაფრთხოების, გარემოს ეკოლოგიურობის და პროფესიული ეთიკის საკითხებს“.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამიდან ამოღებული იქნება კონცენტრაციების „ტრანსპორტის უსაფრთხოება“ და „სატრანსპორტო მომსახურება“ სწავლის შედეგები 9, 10, 11, 12, 13, 14.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით კონცენტრაციების „ტრანსპორტის უსაფრთხოება“ და „სატრანსპორტო მომსახურება“ შესაბამისი სასწავლო კურსები შეთავაზებული იქნება, როგორც თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსების სახით.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ 3.1 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას.

ფაკულტეტის დეკანი, ომარ კიკვიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის განხილვისათვის, მან აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფის კრიტიკული რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება დაწესებულების მეორე, რადგან ისინი მიმართულია პროგრამის შინაარსობრივი გაუმჯობესებისკენ. მან განმარტა, რომ ქუთაისი ყოველთვის იყო დაკავშირებული ავტომობილებთან და მათ წარმოებასთან, აკადემიურ პერსონალს, რომელმაც შეიმუშავა განსახილველი პროგრამა, აქვს დიდი გამოცდილება, ისინი ათეული წლების განმავლობაში დაკავებული იყვნენ საინჟინრო კადრების აღზრდით, რომლებიც ემსახურებოდნენ ქუთაისის საავტომობილო ქარხანას. არსებული პირობებიდან, ქალაქის სინამდვილისა და რეგიონის მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამა არის მნიშვნელოვანი, სწორედ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს აღნიშნული პროგრამის განვითარებას. მისი მოსაზრებით, წარდგენილი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, იგი მოამზადებს თანამედროვე კადრებს, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებსა და იმ პრობლემებს რაც, არსებობს არამარტო მათ რეგიონში, არამედ მთლიანად, დასავლეთ საქართველოში. მან ისაუბრა აკადემიური პერსონალის კვლევებში ჩართულობაზე, აღნიშნული მიმართულებით ჩატარებულია კვლევები როგორც ექსპერიმენტალური, ასევე თეორიული, კვლევები ტარდებოდა ავტომობილებთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისში და ეს გამოცდილება სასარგებლო იქნება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ იზიარებს ფაკულტეტის დეკანის მოსაზრებას პროგრამის მნიშვნელოვნებასთან დაკავშირებით, რადგან ტრადიციულად, ამ კუთხით, განსაკუთრებულად კი ქუთაისში, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დარგი ვითარდებოდა, რაც პროგრამის შინაარსობრივ ნაწილშიც იკითხება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა რას ფიქრობდნენ ექსპერტები პროგრამის სტრუქტურასა და მის შემადგენელ ნაწილებთან დაკავშირებით. მან გამოყო, პირველი და მეორე რეკომენდაცია, რომლებიც განსაზღვრავს დასკვნის სიმძიმეს და ნაწილობრივ შესაბამისობად არის

შეფასებული, ასევე საუბარია პროგრამის მიზნების კორექტირებაზე, რაშიც დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმდნენ ექსპერტთა ჯგუფს, სწავლის შედეგებში სწორედ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, მანამდე ფუნქციონირებადი ორი პროგრამიდან არის დარჩენილი ტერმინები, აქ არ არის პრობლემა უშუალოდ პროგრამის შინაარსის, მისი სილაბუსების, პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის, ლიტერატურის ან პროგრამის განხორციელების კვალიფიკაციასთან შეუსაბამობაზე. მან ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა კიდევ ერთხელ განემარტათ აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრის მოსაზრებით პროგრამის მიზანი, სადაც ნახსენებია „მომზადების ორგანიზაციისა და უსაფრთხოების, გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის მიმართულებები“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, აბსოლუტურად არის 1041-ის მიმართულება, თუმცა სატრანსპორტო მიმართულება იმდენად დინამიური და ინტერდისციპლინურია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში 0716-ის საკითხები 1041-ში შეიძლება იყოს, 1041-ის საკითხები კი 0716-ში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს. მისი მოსაზრებით, გამომდინარე იქიდან, რომ ტრანსპორტის ორი სფეროს აბსოლუტური გამიჯვნა შეუძლებელია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებდა მეტწილ/სრულ შესაბამისობად 1.1 და 1.2 კომპონენტებს, რადგან ცალსახად გამოკვეთილი იყო 1041 ორივე მათგანში. სტრუქტურულად დაწესებულებას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა მეტწილად შესაბამისად შეეფასებინათ მეორე სტანდარტი. მათ ჰქონდათ 30-30 კრედიტიანი არჩევითი ბლოკები, რომელთა მოხსნითა და თავისუფალ კომპონენტად გადატანითარ ირღვევა პროგრამა, აღნიშნულ პროგრამაზე არის ოთხი 30 კრედიტიანი ბლოკი, ორი მათგანი 0716-ს შეესაბამება, ორი კი 1041-ს, აქედან გამომდინარე ორი ბლოკი რჩებოდა და სტრუქტურა არ ირღვეოდა. ძირითად სასწავლო კურსებთან (180 კრედიტი) დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ 1041-დან მოცემული, ტრანსპორტის შესაბამისი, ისინი კავშირში იყო 0716-თანაც, ამიტომ ცალსახად არ დამდგარა იმის საჭიროება, რომ რომელიმე სასწავლო კურსი ამოეღოთ და გადაეტანათ თავისუფალ კრედიტებში, რითაც სრულად დაირღვეოდა პროგრამის/კურიკულუმის სტრუქტურა, საკმარისი იყო 1041 დეტალური სფეროს 30-30 კრედიტიანი ორი კონცენტრაციის გადატანა თავისუფალი კრედიტების ბლოკში, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა საშუალება მეორე სტანდარტი შეეფასებინათ, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, პირველ სტანდარტში კი ცალსახად იყო გასასწორებელი მიზანი და აქედან გამომდინარე სწავლის შედეგებიც, რომელიც შეაფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან.

მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, მათ მიერ რეკომენდაციის შესრულების ხედვას მომავალში, რასაც ექსპერტები ეთანხმებიან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ აღნიშნული მოხდა არა იმიტომ, რომ უნივერსიტეტმა არ იცოდა, ან უნივერსიტეტს გამიზნულად ჰქონდა გათვლილი ექსპერტების შეცდომაში შეყვანა, აქ საუბარი იყო იმაზე, რომ 1041 დეტალური სფერო ისეა აწყობილი, რომ საშუალება არ არის დამოუკიდებლად შეიქმნას ბაკალავრიატის პროგრამა ამ მიმართულებით, რადგან პირველ სვეტში აკლია ჩანაწერი, რომელიც საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში მისცემს ბაკალავრიატის პროგრამის შექმნის საშუალებას. მისი მოსაზრებით სხვა უნივერსიტეტებს, რომლებსაც ანალოგიური პროგრამა აქვთ გაუჩნდებათ იგივე პრობლემა, რადგან 1041-ში მხოლოდ საზღვაოსნო მეცნიერებები და საავიაციოა მოცემული.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ვერ ხედავს საკვალიფიკაციო ჩარჩოს პრობლემას, რადგან ის დაფუძნებულია ისკეტზე, ნათარგმნია ევროპული შესაბამისი სტანდარტების მიხედვით და სწორედ ამ ნათარგმნ დოკუმენტს ერგება დაწესებულება. მისი თქმით საინტერესო იქნებოდა, როგორ გავიდოდა პროგრამა კვალიფიკაციაზე 120 კრედიტით, როგორც ამას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მიუთითებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ 50%-ზე მეტი კმაყოფილდება.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ 0716-ის ჩანაწერი არის „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერია“ ან „ტრანსპორტის ინჟინერია“, რომელიც ნათარგმნია ინგლისურენოვანი, შესაბამისი დოკუმენტიდან „Mechanic Engineering“ ან „Transport Engineering“, დაწესებულების დისკრეციაა რომელს მიუთითებს. მისი მოსაზრებით, სილაბუსები და პროგრამის შინაარსი აბსოლუტურად შესაბამისია, როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, ასევე სტანდარტებთან, უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, თუმცა აქვე უნდა დაზუსტებულიყო, აღნიშნული პროგრამის დასახელება ტექნიკური თვალსაზრისით „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიას“ უფრო შეესაბამება, თუ „ტრანსპორტის ინჟინერიას“.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განაცხადა, რომ საერთო ჯამში „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიას“ შეესაბამება.

საბჭოს წევრი დაეთანხმა ექსპერტს. მისი მოსაზრებით ამ საკითხზე შესაძლებელია დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად მსჯელობაც, რადგან საუბარია სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებისა და ინჟინერიის საკითხებზე, რაც საბოლოო ჯამში არის ე.წ. „Engineering“ და ეხება სატრანსპორტო საშუალებებს.

საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პროგრამა თავისი შინაარსითა და განმახორციელებელი პერსონალით მისგან პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. მან განმარტა, რომ აღნიშნული დარგისა და სატრანსპორტო მიმართულებების საჭიროება წლების განმავლობაში, ტრადიციულადაც მნიშვნელოვანი იყო რეგიონისთვის და სწორედ ტრადიციებს ეყრდნობა აღნიშნული პროგრამა. თვითშეფასების ანგარიშს, სადაც მითითებულია პროგრამის განხორციელების 40 წლიანი გამოცდილება, ამჟამად სტუდენტთა დაინტერესება მაღალია და მიღებაც ნორმალურია, რეგიონის მასშტაბიდან გამომდინარე. საბჭოს წევრი დაინტერესდა როგორია ზოგადი მოთხოვნა კურსდამთავრებულებზე, სად გადიან ინჟინრები პრაქტიკებს, რამდენად არის ადგილობრივ დონეზე ამ ყველაფრის საჭიროება. თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ დასაქმების მაჩვენებელი ნორმალურია. ქუთაისის ელექტრომობილების ქარხანასთან თუ არის რაიმე კომუნიკაცია დაწესებულების მხრიდან.

ფაკულტეტის დეკანმა დაადასტურა, რომ ელექტრომობილებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კორელაცია ექნება განსახილველი პროგრამის კურსდამთავრებულებს და მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარება ამ კუთხით.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ რეგიონისთვის, მომავალში იგეგმება ქუთაისს დაუბრუნდეს ავტომობილი და უახლოეს წლებში საქართველოში ავტომობილების შემოსვლა გაორმაგდა, წამოიწია სერვის ობიექტების ფუნქციონირებისა და მათთვის კვალიფიკაციური კადრების მომზადება, რასაც დაერთო ისიც, რომ გართულდა ავტომობილების გარკვეული კონსტრუქცია და ახალ კონსტრუქციებზე მოეწყო ახალი სერვის მომსახურება, დიაგნოსტიკა, რისთვისაც დაწესებულების წარმომადგენლები გადიან პრაქტიკებს წამყვან სერვის ცენტრებში, როგორცაა Tegeta Motors (ქუთაისი), Dodge-ს ფირმის და სხვა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთმემორანდუმები, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკებს და მუშაობენ თანამედროვე აპარატურით. ამასთანავე, ფაკულტეტი ცდილობს შეიძინოს ახალი ლაბორატორია, კვლევის მიმართულებით უკვე შეიძინეს ახალი ტექნიკა, უახლესი აპარატურა. დასაქმების მაჩვენებელის სიმაღლესთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მათი პრაქტიკის შემდეგ დამსაქმებლები დაინტერესებულნი არიან და პრაქტიკის შემდეგ აგრძელებენ მუშაობას.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რამდენიმე ფაქტორს უნდა მიექცეს ყურადღება: წინაპირობის საკითხი, რადგან წინაპირობის გარეშე პრაქტიკაზე დაშვება შეუძლებელია, ტექნიკურად საკვალიფიკაციო სასწავლო კურსები მაინც უნდა იყოს წინაპირობა, რომ პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტმა თეორიაში მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოს. მისი მოსაზრებით ყურადღება უნდა მიექცეს პასუხისმგებლობა

და ავტონომიურობის ნაწილს, სწავლის შედეგებში, მეტწილად პრაქტიკა არის განმსაზღვრელი ამ ორი მიზნისათვის.

საბჭოს წევრი, თამარ ტუფინაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან მიმართა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. განაცხადა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენცია, როგორცაა პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რეალურად, აღნიშნული ორი უნარის განმტკიცება, წარდგენილი კურიკულუმის რუკიდან გამომდინარე არ ხდება არცერთი საგნით/კონცენტრაციით და ურჩია გადაეხედათ/დაკორექტირებინათ კურიკულუმის რუკა, რადგან ეს გამოადგებოდათ შედეგების შეფასებაშიც. ტექნიკური უცხო ენა, რომელსაც ასწავლიან თავისუფალი კომპონენტით არის გათვალისწინებული, ზოგადად კი უცხო ენების სწავლის სფეროს შესაბამის კომპონენტშია გაწერილი, რაც, ასევე დასაკორექტირებელია.

საბჭოს წევრი დაინტერესდა პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ნიკა თიკანაშვილის მიერ წამოჭრილ საკითხს რამდენად ეთანხმებიან დაწესებულების წარმომადგენლები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება აღნიშნულ პოზიციას, დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაციები, გადმოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, დაგეგმილია პროგრამის მოდიფიცირება, რაზეც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმაც ისაუბრა, საკითხი უკვე განხილულია პროგრამის ხელმძღვანელებსა და თვითშეფასების ჯგუფთან ერთად. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს რეკომენდაციებისთვის.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ ნიკა თიკანაშვილმა ისაუბრა შემდეგ საკითხზე პროგრამის შინაარსი უფრო შეესაბამება „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიას“, ვიდრე „ტრანსპორტის ინჟინერიას“.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ მისი აღნიშნული ერთი და იგივეა და საუბარი იყო კვალიფიკაციაზე.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ მას დაწესებულების პასუხი აინტერესებდა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პაატა გერაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერია“, რადგან წილადით არის მოცემული, დაწესებულება აირჩევს „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიას“.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ ზუსტად ამას გულისხმობდა.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 17:01**

**დასრულების დრო: 17:20**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მე-5 სტანდარტი, ნაცვლად “შესაბამისია მოთხოვნებთან” შეაფასა როგორც “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”, დამატებით განსაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

### **რეკომენდაციები:**

ა) საჭიროა პროგრამის მიზანი დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0716 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას „მოდრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების, გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის მიმართულებები“, რომელიც მიეკუთვნება „ტრანსპორტის მომსახურების“ (დეტალური სფერო 1041) სწავლის სფეროს;

ბ) საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0716 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას „მოდრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების, გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის მიმართულებები“, რომელიც მიეკუთვნება „ტრანსპორტის მომსახურების“ (დეტალური სფერო 1041) სწავლის სფეროს;

გ) სასწავლო პროგრამაში შემავალი: „კონცენტრაცია 1-ტრანსპორტის უსაფრთხოება“ და „კონცენტრაცია 2 -სატრანსპორტო მომსახურება“ საჭიროა იქნას ამოღებული ან გადატანილი თავისუფალიკომპონენტის სასწავლო კურსებში, ვინაიდან არ პასუხობენ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს „0716-ძრავიანი სატრანსპორტოსაშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები“ მოთხოვნებს;

დ) სასწავლო კურსებისთვის: „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“, „თერმოდინამიკა და სითბოგადაცემა“, „ჰიდრო და აერომექანიკა, ჰიდრო და პნევმო ამძრავები“ საჭიროა განისაზღვროს წინაპირობა „ფიზიკა“;

ე) პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: საჭიროა პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი იყოს პრაქტიკის მიზანი და სტუდენტების რაოდენობა;

ვ) სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება: მნიშვნელოვანია, აკადემიური და ამოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობაში, ფუნქცია-მოვალეობებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები;

ზ) აუცილებელია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით;

თ) მატერიალური რესურსები: აუცილებელია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ელექტრონული ვებ პორტალის გამართული მუშაობა, განსაკუთრებით არსებულ რთულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელების მიზნით;



ი) პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება: საჭიროა პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად ჩაერთონ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

კ) საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში განისაზღვროს პრაქტიკაზე დაშვების სასწავლო კურსების ჩამონათვალი წინაპირობის სახით და გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე კომპეტენციის - ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა სწავლის შედეგები;

ლ) საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერი“.

### **რჩევები:**

ა) პროგრამის მიზნები: სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროგრამის განვითარებაში უფროაქტიური ჩართულობის წახალისებისა და მათი წვლილის მნიშვნელოვნების გაცნობიერების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;

ბ) სასწავლო კურსი: სასურველია სასწავლო კურსში „ჰიდრო და აერომექანიკა, ჰიდრო და პნევმო ამძრავები“ აერომექანიკის თემატიკის საკითხების სწავლებას მეტი ყურადღება მიექცეს;

გ) სასურველია სასწავლო კურსისთვის „მანაქანათა ნაწილები“ უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი-2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას;

დ) სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება: სასურველია, საკონსულტაციო საათების განსაზღვრის პრინციპი გადაიხედოს და შემუშავდეს მეტად რეალისტური გეგმა იმისათვის, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ნებისმიერ ლექტორთან, საჭიროებისამებრ, გაიარონ კონსულტაცია;

ე) სასურველია, უნივერსიტეტმა მეტად იმუშაოს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებაზე, რომ აქტიურად ისარგებლონ სტუდენტებისთვის განკუთვნილი სერვისებით;

ვ) ხარისხის შიდა შეფასება: შიდა ხარისხის სამსახურის მიერ სამუშაოების ჩატარებისას სასურველია განხორციელდეს დეტალებზე ორიენტირებული მიდგომა, რაც მომავალში უზრუნველყოფს პროგრამის მეტად დახვეწასა და გაუმჯობესებას.

ზ) ვინაიდან სასწავლო კურსი „შესავალი სპეციალობაში“ მოიცავს საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებს, სასურველია სილაბუსი გაძლიერდეს დარგში არსებული უახლესი ლიტერატურით.

### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>2</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების 2 შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, 3<sup>2</sup> პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, შესაბამისად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

**მეორე საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| №  | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ                                                         |                                                    |
|----|------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| 1  | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                                                                 | საზოგადოებრივი ჯანდაცვა                            |
| 2  | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა                                                          | -                                                  |
| 3  | სტატუსი                                                                                              | ახალი                                              |
| 4  | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა                  | -                                                  |
| 5  | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება                          | -                                                  |
| 6  | უმაღლესი განათლების საფეხური                                                                         | დოქტორანტურა                                       |
| 7  | კვალიფიკაციის დასახელება                                                                             | საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი                   |
| 8  | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | -                                                  |
| 9  | სწავლების ენა                                                                                        | ინგლისური                                          |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა                                                                     | 60/სასწავლო კომპონენტი                             |
| 11 | განხორციელების ადგილი                                                                                | ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, თბილისი, 0162, საქართველო |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება                  | -                                                  |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ნინო დობორჯგინიძემ და პაატა ბრეკაშვილმა, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამარ ლობჯანიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 17 სექტემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, განიხილეს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა, რომლის შესაბამისი კვალიფიკაცია არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი. ექსპერტთა მოსაზრებით პროგრამა არის ახალი, რადგან არის ინგლისურენოვანი და 2011 წელს ხორციელდებოდა პროგრამა, განსხვავებული დიზაინითა და ორი კვალიფიკაციის მინიჭებით. ვიზიტზე იმყოფებოდნენ შემდეგი ექსპერტები: ირინე ფხაკაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნათია ნოღაიძელი (შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი), ელენე ხურციძე (უნივერსიტეტი „ნიუ ვიჟენის“ დოქტორანტი).

მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რადგან მათ უზრუნველყვეს კომფორტული გარემო ექსპერტებისათვის, მიუხედავად დისტანციური ვიზიტისა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ყველაფერთან წვდომა და მიეცათ შეფასების შესაძლებლობა.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

- პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

### **ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და კრიტერიუმები, შესაბამისი ცოდნისა და უნარების აპლიკანტების შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისად „მიღების პროცედურებისა და შეფასების სისტემის“ დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული წინაპირობები გახდეს გაზომვადი და გამჭვირვალე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკმაოდ მოცულობითი/ამბიციური პროგრამაა, რაც ძალიან კარგია. მიღების წინაპირობად წარმოდგენილია ზეპირი გამოცდა, სადაც რამდენიმე კომპონენტია, რომელითაც ფასდება ცოდნა გარკვეული საგნის მიხედვით, ინდივიდუალური ქულებიდან გამომდინარე. ასევე, დგება საკითხი რა ცოდნა უნდა შეფასდეს და რომელი საგნის/დისციპლინის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული არ

არის. შემდეგი კომპონენტი არის შეფასება სამუშაო გამოცდილების მიხედვით, სადაც ჩამოთვლილია რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც ქულებით ფასდება, მაგ., როგორია აპლიკანტის მიღწევები სამუშაო ადგილზე და ა.შ., წარდგენილია მოტივაციის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფისთვის გაუგებარია/არ არის დასაბუთებული, რამდენიმე კრიტერიუმი არის ჩაშლილი და რას ნიშნავს წარმატებული, ნაკლებად წარმატებული, თუმცა ამაზე შესაძლებელია მსჯელობა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ამას დოქტორანტის/აპლიკანტის კუხით შეხედა და ამიტომ გაწერეს აღნიშნული რეკომენდაცია;

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დარგში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკის მიმართულებით ცოდნის დადასტურება - აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფმა წამოწია, რადგან ეს არის ერთ-ერთი ის კომპლექსური პროგრამა, რომელიც იღებს თითქმის ყველა განათლების მქონე აპლიკანტებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვა თავისი ძირითადი არსით, ეფუძნება ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დისციპლინებს და ის მას მექანიზმად იყენებს, როდესაც კვლევის პროცესია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური მიმართულება, შესაბამისად, როდესაც ადამიანი არის ეკონომისტი ან სხვა დარგის წარმომადგენელი, სამედიცინო ტერმინოლოგია, ეპიდემიოლოგიური ნაწილი შესავლების დონეზე მაინც უნდა იცოდეს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისგან მიიღო განმარტება, რომ არის იდივიდუალური გამოცდა კვლევის თემატიკაზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამა არის სტანდარტული/სტრუქტურირებული, რომელიც არ არის აგებული ერთ ინდივიდზე, ზოგადად სასწავლო პროგრამა არის სტრუქტურირებული და ამიტომ, გარკვეული ცოდნა აპლიკანტებს უნდა მოეთხოვებოდნენ, მოთხოვნის ფორმა კი უნივერსიტეტის გადასაწყვეტია;
3. პროგრამის კურიკულუმს ძირითადი საგნის სახით დაემატოს პედაგოგიკის სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდების შინაარსის მქონე - ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რადგან თვითონ პროგრამაში, მის მიზანში აღნიშნულია, რომ სტუდენტი იქნება რომ კურსის დასრულების შემდეგ ის აქტიურად იქნება ჩართული სწავლა-სწავლების მიმართულებით, როგორც ხელმძღვანელი/ლექტორი. პროგრამაში კი არის ასისტირების კურსი, რომლის წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ქონდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი. თუმცა როგორ იზომება ცოდნა, აღნიშნული პროგრამის შიგნით არ არის წარმოდგენილი, მოითხოვება ცოდნა, რომელიც არის ერთ-ერთი წინაპირობა საგნის, ამავე დროს ექსპერტებმა არ იციან/ვერ ზომავენ იმ საგნიდან/მოთხოვნილი ტრენინგის შედეგებს და რამდენად შესაძლებელია უკეთესი ტრენინგი ჰქონდეს გავლილი დოქტორანტს და როგორ იქნება აღმოჩენილი პასუხები უცნობია, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ჩათვალეს, რომ რადგან პროგრამაში წარმოდგენილია უნდა იყოს კურიკულუმშიც;
4. უახლესი სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის სახით შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალების/სტატიების ჩართვა საგნებში: ბიოსტატისტიკა, ეპიდემიოლოგია - ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ეპიდემიოლოგიის საგანში წარდგენილია მიზანი, უნდა მისცეს უახლესი, კვლევებზე დაფუძნებული, კომპლექსური ცოდნა ეპიდემიოლოგიური კვლევების, დიზაინისა და სპეციფიკის შესახებ, ბიოსტატისტიკასაც აქვს შესაბამისად, ლიტერატურა კი არის ერთი მაშინ, როდესაც ის მიზანი, რაც აქვს საგანს თავისთავად მოითხოვს უახლესი სამეცნიერო კვლევითი ლიტერატურის შემოტანას, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უნივერსიტეტის პასუხი, რომელშიც აღწერილია, რომ სწავლებას აწარმოებენ დავალებების მეშვეობით, მაგრამ ზოგადად იმ საკითხზე, რომელიც ყველასთვის ერთი უნდა იყოს და არა მისი თემატიკიდან კონკრეტულად გამომდინარე

დავალება, დანარჩენი განხილული უნდა იყოს, როგორც სწავლების ერთიანი საფუძველი/ერთიანი კომპონენტი, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა მიზნიდან გამომდინარე საჭიროდ ჩათვალა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა;

5. საგნებში შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოხდეს ქულების მეტად დაზუსტება, რათა ცხადი იყოს კონკრეტული ქულის მინიჭების პირობა - ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ერთ-ერთი კარგად გაწერილი პროგრამა შეფასებებთან მიმართებით, მაგრამ კონკრეტიზაცია, როდესაც არის საკმარისად დიდი მოთხოვნა კომპლექსურად/კომბინირებულად არის შეფასება წარმოდგენილი დოქტორანტისთვის რთულია გაიგოს კონკრეტულად ერთი ქულა, რადგან არ იწერება ხუთ ქულიანი ბიჯი და იწერება ერთი ქულა, რაში მიიღო, რაც მოითხოვს დაზუსტებას. როდესაც აღნიშნულია, რომ სწავლების მეთოდად გამოყენებულია დისციპლინაზე ორიენტირებული მეთოდიკა, გამოყენებულია, რადგან შედეგზე გავიდნენ და შედეგში საერთოდ არ არის საუბარი დისციპლინაზე, რისთვისაც შემოტანილია ქულები და სასურველია გაიზომოს შედეგის მიღწევა, არ არის წარმოდგენილი საგანში შედეგი, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გაწერა აღნიშნული რეკომენდაცია;
6. საგნის „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და ადვოკატირება“ მინიჭებული კრედიტის გაზრდა სასწავლო თემატიკების სიმრავლისა და სიღრმეიდან გამომდინარე - სილაბუსი საკმარისად დიდია და გააჩნია გარკვეული სიღრმე, არ არის ზედაპირული, მოწოდებული ლიტერატურაც, წარმოდგენილი სამეცნიერო ჟურნალიც და ა.შ., რომელიც ყოველწლიურად განახლდება. მიზანზე გასასვლელად, რომელიც საგანს გააჩნია, 6 კრედიტი არის ძალიან მცირე მცირე, რადგან ერთ-ერთი შედეგია გაანალიზოს და შეაფასოს სოციალური და ეკონომიკური თოერიების გავლენა ჯანდაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებაზე, რასაც მხოლოდ მიმოხილვის დონეზე შესწავლა არ ეყოფა;
7. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფუნდამენტურ მიმართულებებში (გარემოს ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგია და სხვა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის გაძლიერება, დამატება - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს ყველა მწვავედ აღიქვამს ხოლმე, თუმცა ექსპერტებს ყოველთვის აქვთ შეგრძნება, რომ სჭირდებათ დამატება, რადგან ეს ისეთი დარგია და პროგრამა ისეთი მასშტაბით არის წარმოდგენილი, ეს რომ იყოს ვიწრო მიმართულების პროგრამა, როგორიცაა, მაგ., საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო მიმართულება ნუტრიციოლოგიაში, ეს არის ვიწრო მიმართულება და ვიწროვდება ადამიანების პროფესიული მრავალფეროვნებაც, მაგრამ განასახლველი პროგრამა არის ყველამხრივ წარმოდგენილი, ინტეგრირებული და ის კვლევები, რომლებიც შესაძლებელია წარგენილი იყოს, ვერ თავსდება ერთი დისციპლინის შიგნით, აუცილებლად მომიჯნავესაც მოითხოვს, იგივე გარემოს მიმართულებით, თუმცა გარემოს ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ჯანდაცვის სისტემები პოლიტიკაში ძირითადი მიმართულებებია, რისგანაც საზოგადოებრივი ჯანდაცვა შედგება, სწორედ აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, რომ გაძლიერდეს, თუნდაც ერთი კურსი, ამიტომ დატოვეს აღნიშნული რეკომენდაცია;
8. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამული კონკრეტული ხარჯები, კვლევითი კომპონენტის დაფინანსების წყაროები, იდენტიფიცირებული იქნება რისკები და მათი გადაჭრის გზები - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კარგი შესაძლებლობები აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი დაკონკრეტდა პროგრამაზე, საიდან გამომდინარე საჭიროა შეფასების დროს, რა ხარჯებთან, სტუდენტების მოცულობასთან აქვთ საქმე, როდესაც, მაგ., სტუდენტი იწყვეტ სტატუსს რა რისკებია, ანუ ძალიან დიდი პროგრამაა და ექსპერტებმა განიხილეს ბიუჯეტური ნაწილიც პროგრამული მდგრადობის თვალსაზრისით, შესაძლებელია უნივერსიტეტს აქვს ძალიან ბევრი გრანტი, ამ მხრივ

ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია, მაგრამ არის თუ არა აღნიშნული გრანტი ყოველთვის იმ სტუდენტებისთვის, გრანტი მოპოვებულია კონკრეტული მიმართულებით, მაგრამ არის თუ არა ყველა ამისთვის, ამიტომ უნდა იყოს შემოსავლების წყაროში/ხარჯებში ფორმირებული, კონკრეტულად ამ პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით მიუხედავად ამდენი რეკომენდაციისა, ექსპერტები თვლიან, რომ ერთ-ერთი ყველაზე კარგი პროგრამაა და მიღწევა იქნება ქვეყნისთვის აღნიშნული პროგრამის განხორციელება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დეკანმა, დავით თარხნიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს პროგრამის მაღალი შეფასებისთვის. რეკომენდაციებთან დაკავშირებით სასაუბროდ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, იაგორ კალანდაძეს.

პროგრამის ხელმძღვანელი, იაგორ კალანდაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო პროგრამა შემუშავდა მიმდინარე წლის გვიან გაზაფხულსა და ზაფხულში, საკმაოდ ინტენსიური, გუნდური მუშაობის შედეგად, მას შემდეგ, რაც 2019-2020 წლებში ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით არჩეულ იქნა პროფესორები და უკვე მომუშავე პროფესორებთან ერთად შეიქმნა საკმაოდ საინტერესო გუნდი, რომელიც შედგება აღიარებული სპეციალისტებისგან, არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე, პროგრამა ინგლისურენოვანია, რისი არგუმენტიც არის მეტი ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის მინიმალური სტანდარტი არის სწავლის განმავლობაში დოქტორანტის მიერ სულ მცირე ორი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში, რომლის Impact ფაქტორი არ არის ნაკლები 0.5-ზე და მიაჩნიათ, რომ ეს ეხმარება უნივერსიტეტის ზოგად პრიინციპსა და კონცეფციას კვლევით მიმართულებების განვითარების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ სურვილი/ამბიცია ჰქონდეთ ერთ-ერთი საუკეთესო/საინტერესო სადოქტორო პროგრამა და შესაბამისად ჰყავდეთ საინტერესო დოქტორანტები. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს რეკომენდაციებისა და შეფასებისთვის.

მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისთვის მოულოდენლი და გასაკვირი იყო, ასეთი რეკომენდაცია, სადაც კონკრეტულად დავით ოთიაშვილზეა აღნიშნული, რომელიც დიპლომისშემგომი განათლების შემდეგ, ეწეოდა აქტიურ საქმიანობას დაახლოებით 20 წლის განმავლობაში, ნარკოლოგიის მიმართულებით, თუმცა ბოლო 15-16 წლის განმავლობაში მისი კვლევითი ინტერესი სრულად უკავშირდება საზოგადოებრივ ჯანდაცვის, მათ შორის ეპიდემიოლოგიის სფეროში კვლევის მეთოდებს. 2003-2004 წლებში, მას შემდეგ რაც იგი სწავლობდა აშშ-ში აღიარებულ ჯონს ჰოპკინსის ბლუმბერგის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლაში, მაგ., ეპიდემიოლოგიის საგანი დავით ოთიაშვილმა გაიარა ლეონ გორდისთან (Leon Gordis), ვისი სახელმძღვანელოც დღეისათვის მიჩნეულია ეპიდემიოლოგიის საუკეთესო სახელმძღვანელოებს შორის. ამ სახელმძღვანელოს იყენებენ ეპიდემიოლოგიის საგნის სასწავლებლად მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. აღნიშნული სასწავლო კურსის შემდეგ დავით ოთიაშვილის კვლევითი ინტერესი არის ჩართული საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, დიდწილად ეპიდემიოლოგიაში, ამის დასტურად საწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაშიც აღნიშნეს, რომ 2017 წლის შემდეგ, გამოქვეყნებული რვა ნაშრომია მისი ავტორობით/თანაავტორობით საკმაოდ სოლიდურ საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში და რვავე ნაშრომის შინაარსი არის ეპიდემიოლოგია და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა საკითხები, შესაძლებელია „ეპიდემიოლოგია“, როგორც ტერმინი სათაურში გამოყენებული არ იყოს, მაგრამ შინაარსი სრულად საზოგადოებრივი

ჯანდაცვის მიმართულებებსა და საკითხებს ეხება, გარდა ამისა 2015 წლის შემდეგ მას სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიყავს ორი კურსი, ეპიდემიოლოგიის შესახებ - (1) ნარკოვითარების მონიტორინგი და ნარკოეპიდემიოლოგია და (2) კვლევის მეთოდები ადიქტოლოგიაში. მისი *h* ინდექსი (მკვლევარის ეთექტიანობის/პროდუქტულობის უნივერსალურ საზომი) ამ ეტაპზე არის 11, რაც საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის არის ძალიან კარგი.

სხვა პროფესორების შესახებ მან განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორების საშუალო *h* ინდექსი არის 8.9 და მათგან 5 პროფესორის *h* ინდექსი 10 და მეტია. სამეცნიერო კვლევითი აკტივობისა და შესაბამისი, გამოქვეყნებული ნაშრომებისა, პროგრამაში ჩართული პედაგოგები ძალიან აქტიური საერთაშორისო საქმიანობით გამოირჩევიან, მაგ., სხვადასხვა საერთაშორისო მისიებში მონაწილეობაქსპერტული კონსულტენტების სტატუსითა და ეგიდით საერთაშორისო საგრანტო პროექტებში და ა.შ. პროგრამის აკადემიური პერსონალის კომპეტენცია და კვალიფიკაცია სრულად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. გარდა ამისა პერსონალური საკითხის/აკტივობის მიღმა, პროცედურულად, სადოქტორო პროგრამაზე მიღების წესი, რომელიც ლეგალიზებულია შესაბამისი დოკუმენტის დანართით, გულისხმობს აპლიკანტის მიერ წარდგენილი განსახილველი სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის შინაარსთან პოტენციური ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა, რაც უნდა დასტურდებოდეს სამეცნიერო კვლევითი აკტივობითა და შესაბამისი პუბლიკაციებით. ეს არის დამატებითი დაზღვევის მექანიზმი იმისათვის, რომ დაწესებულებამ აირიდოს ამ მიმართულებით გაუგებრობა/უზერხულობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ყველაფერი დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაშიც წერია დეტალურად, რეკომენდაცია 7-ს დაწესებულება არ იზიარებს, რადგან სრულად შესაბამისობაში მიაჩნიათ პროგრამაში ჩართული პროფესორების კვალიფიკაციის/კომპეტენციის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტთან.

პროგრამის ხელმძღვანელი, ნინო მახაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულება არ ეთანხმება პირველ და მეორე რეკომენდაციას და მხოლოდ რჩევის სახით შეიძლება გაითვალისწინონ, რადგან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექვი ეპარება მიღების წინაპირობის გამჭვირვალობასა და გაზომვადობაში, თუმცა პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ ძალიან ბევრი შეხვედრა, საინტერესო მსჯელობა/დისკუსიები და პირველი სწორედ იყო საკითხი ვინ და როგორ უნდა მიეღოთ აღნიშნულ პროგრამაზე, შემოსვლის ბარიერი ფანტასტიურად გაწერეს, რამდენიმე წინაპირობა ახსენა იაგორ კალანდაძემ, რომ სანამ ზეპირი გამოცდა იქნება მანამდე იღებენ აპლიკანტისგან სადოქტორო კვლევით განაცხადს, რომელშიც საკმაოდ ფართოდ არის მითითებული ყველა ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რაც უნდა ჰქონდეს განაცხადს, საკვლევი თემით, ლიტერატურით, მიზნით, ჰიპოთეზით, მეთოდოლოგიით, შედეგით, ენითა თუ აკადემიური სტილით, ამ განაცხადის შეფასება მიდის პირველ რიგში, ინგლისური ენისა და გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად, ეს არის მთავარი დოკუმენტები, რომლითაც აფასებენ. განაცხადის შეფასების შემდეგ ინიშნება ზეპირი გამოცდა, სადაც შესაბამისი პროფესორები აფასებენ აპლიკანტს რამდენიმე კომპონენტის მიხედვით, დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობენ დაიდასტურონ, რომ შესაბამისი ცოდნის, უნარების, ეთიკური ფასეულობებისა და ღირებულებების მქონე ადამიანები მიიღონ პროგრამაზე, ამიტომ აფასებენ, როგორც დარგობრივ ცოდნას, ასევე მოტივაციას და ა.შ., გამოცდილებასაც, იმ კვლევითი განაცხადის მიმართებასთან, რასაც ადამიანი წარადგენს, რაც ნიშნავს, რომ ფაქტობრივად განაცხადის პრეზენტირებისას გამართული დისკუსია, რომელიც მის შესახებ მიდის, არკვევს რამდენად დიდი ცოდნა აქვს ამ ადამიანს აღნიშნულ სფეროში. მაგ., შემოდის ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ უნდა შეისწავლოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა და ზოგადად ფსიქიკური დაცვის სისტემა ქვეყანაში, დაწესებულების წარმომადგენლებს აინტერესებთ უამრავი რამ მისი ცოდნის შესახებ, მათ შორის დარგობრივი

ცოდნა ფუნდამენტური საბაზისო დოკუმენტებისა და ადამიანის უფლებათა დოკუმენტების შესახებ, რომელზეც უნდა იყოს დაფუძნებული თანამედროვე ფსიქიკური ჯანმრთელობა და რაციის იმ სფეროებშიც, რაც აუცილებლად დასჭირდება, რომ განაცხადი წარმატებამდე მიიყვანოს, ამასთან ერთად ამოწმებენ გამოცდილებასაც, რადგან კვლევის განხორციელებისთვის უმჯობესია ადამიანს ჰქონდეს კარგი ზოგადისურათი და იყოს მენეჯერი ან პოლიტიკის შემქმნელი, მაგრამ თუ პროგრამაზე მიდის, მაგ., პირველადი ჯანდაცვის ექიმი, რომელიც სერვისის მიმწოდებელია და წარადგენს კვლევით განაცხადს, რომელიც გულისხმობს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ინტეგრაციის შესწავლას პირველად ჯანდაცვის სერვისებში, ამ შემთხვევაში პირველადი ჯანდაცვის ექიმი, რომელსაც გამოცდილებაში დაუდასტურდება, რომ აქვს ტრენინგის გამოცდილება, ასევე უსწავლებია დეპრესიის/ზგოთვის მართვა თავისი კოლეგებისთვის, „გაიდლაინების“ შექმნა, სერვისის ეფექტურობის ან იმპლემენტაციის კვლევის გამოცდილება, რა თქმა უნდა მიიღებენ. მისი მოსაზრებით დოკუმენტში შეუძლებელია ყველაფრის აღწერა, დაწესებულების წარმომადგენლებმა ბევრი იფიქრეს როგორი უნდა ყოფილიყო აღნიშნული პროგრამა, უნდა ყოფილიყო უფრო მეტად კვლევისკენ გადახრილი, ვიდრე სწავლისკენ, დაწესებულება ეძებს ადამიანებს, რომლებსაც უკვე აქვთ ცოდნა, აქვთ გამოცდილება და გააღრმავებენ, რადგან ექნებათ რამდენიმე, მნიშვნელოვანი სავალდებულო საგანი, იყო მოსაზრება, შეექმნათ მთლიანად მეცნიერული პროგრამა, თუმცა ჩასვეს რამდენიმე, ჩასაღრმავებელი საგანი, მაგრამ ძირითადად კვლევაა.

ასოცირებულმა პროფესორი, გიორგი გოცამე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მაღალი შეფასებისათვის. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლებიც ასევე, მიღების წინაპირობას ეხება და აზუსტებს ორ საგანს, სადაც მისაღებად აუცილებელია ცოდნა. მან განაცხადა, რომ, როგორც ექსპერტის ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა საზოგადოებრივი ჯანდაცვა მულტიდისციპლინური გახდა, აღარ არის მხოლოდ ეპიდემიოლოგია/სანიტარული ზედამხედველობა, როგორც საბჭოთა კავშირში იყო და აღნიშნულ დარგში „ტრენდის“ მიხედვით არის მულტიდისციპლინური და მოითხოვს ძალიან ბევრი მომიჯნავე სპეციალობის პროფესორების ჩართვას და ცოდნის მიღებას კვლევის ჩატარებისათვის. მეორე საკითხი, რომელიც ასევე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ახსენა, არის ის, რომ ეს არის სადოქტორო პროგრამა და არა სამაგისტრო, რის შედეგადაც წერტილოვანი ჩაღრმავება დასჭირდება ნებისმიერ ადამიანს და პროგრამაში მონაწილეს, რათა ჩაუღრმავდეს იმ თემას/საკითხს, რომლის შესწავლასაც აპირებს, აქედან გამომდინარე მას მოუწევს დამატებით, ბევრი საკითხის შესწავლა, გაცნობა და გამოყენება სადისერტაციო ნაშრომის შესაქმნელად. აღნიშნულ ორ პუნქტთან დაკავშირებით, გიორგი გოცამემ განმარტა, რომ რადგან ინტერდისციპლინურია, თუ დაწესებულება ერთი ან ორი დისციპლინით შემოფარგლავს და წინაპირობაში ეს ბარიერი დააწესონ, ავტომატურად შემცირდება მისაღები კონტიგენტის შესაძლო ნაირსახეობა, რომელიც შეიძლება „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო პროგრამაზე მივიდეს სოციოლოგი, ანთროპოლოგი ან ეკონომისტი, რომელსაც უშუალოდ ბიოსტატისტიკა არ აქვს გავლილი, მაგრამ ძალიან დიდი სტატისტიკური გამოცდილება აქვს, აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებმა მსჯელობისას ჩათვალეს, რომ ასეთი შემზღუდველი ფაქტორის დაყენება, როგორიცაა კონკრეტული საგნის ცოდნა, ავტომატურად შეამცირებს პოტენციური მისაღები კანდიდატების რაოდენობას და გაართულებს ხარისხიანი არჩევანის გაკეთებას, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე ჯობია, რომ კარები უფრო ფართოდ იყოს ღია და დაწესებულების წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით არჩიონ კანდიდატები, ვიდრე წინაპირობად გაითვალისწინონ მიწოდებული რეკომენდაცია და ამით შეზღუდონ ასარჩევი კონტიგენტი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ელენე ჟურავლიოვამ მიღების წინაპირობისა და მისაღები გამოცდის შეფასების ჩამოყალიბების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფმა ძალიან ბევრი იმსჯელა, გაითვალისწინეს ორი ფაქტორი: სამუშაო ჯგუფის წევრებმა გადახედეს საერთაშორისო ანალოგებს, საკმაოდ ცნობილი



და ამ დარგში მოწინავე უნივერსიტეტების გამოცდილებას, იგივე სამუშაო გამოცდილებას და ამის საფუძველზე დაწესებულებას გაუზიარეს გამოცდილება და საკუთარ გამოცდილება გაუზიარეს დაწესებულებას, რა ტიპის პროექტები მიმდინარეობს, ამის შეჯამებით გადაწყდა ზეპირი გამოცდის ჩატარება; დასწესებულების წარმომადგენლებმა ბევრი იმსჯელეს უნდა დაეწერათ თუ არა ზეპირი გამოცდის კონკრეტული თემატიკა და შეჯერდნენ, რომ, როგორც უმეტესობა უნივერსიტეტებშია კვლევითი განაცხადი განსაზღვრავს დამატებითი უნარებისა და ცოდნის მოთხოვნას. გარდა ამისა, პროცედურა გამჭვირვალეა, რადგან არ აფასებს მხოლოდ ერთ გამომცდელი, არც გამოცდილებას და არც დარგობრივ ცოდნას, რადგან გამოცდა ბარდება დარგობრივი კომისიის წინაშე რაიმე ტიპის მიკერძოებულობასა და სუსტი/ძლიერი გამოცდების ჩატარება გამორიცხულია, ფიზიკურად ვერ ხერხდება, რადგან 6-7 ადამიანის წინაშე ტარდება გამოცდა.

მესამე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ რამდენიმე წლის წინ მოიგო Erasmus-ის პროექტი PRINTEL-ი, რომელიც ემსახურება მასწავლებლებისა და აკადემიური პერსონალის ტრენინგს სწავლების მეთოდებში ახალი ტრენინგების დანერგვაში, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ბევრი იმსჯელეს, დაიწყეს ინტენსიური ტრენინგები, რომლებიც კარანტინის პერიოდშიც მიმდინარეობს და ხაზი გაუსვეს დოქტორანტებს, რომელიც აღნიშნულია ცენტრის სტრატეგიაში. უნივერსიტეტი მონაწილეობს Volkswagen-ის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც გულისხმობს გოტინგენის უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის მინიჭებას, დაწესებულებამ გაიზიარა ზემოაღნიშნული უნივერსიტეტის გამოცდილება, რადგან აღნიშნულ პროგრამაში, ისევე როგორც ბევრ ამერიკულ/ევროპულ პროგრამაში, დაწესებულებას ჩეხეთის უნივერსიტეტებთანაც ჰქონდა მსგავსი მოლაპარაკება, ბევრი ტრანსფერული უნარი გადატანილია სასწავლო კურსების კომპონენტიდან ტრენინგების კომპონენტში, ეს არის ის ტენდენცია, რომელსაც იზიარებს გოტინგენის უნივერსიტეტი, მის შემთხვევაში ეხება არა მხოლოდ ტრანსფერულ უნარებს, არამედ ხშირად მეთოდური კურსებიც არის ტრენინგების კომპონენტში გადაყვანილი, ამ შემთხვევაში არ ითხოვენ არც კრედიტების მინიჭებას და არც მაღალი/დაბალი ზღვარის დაწესებას, ითხოვენ მხოლოდ ამ ტრენინგების გავლას, რომლებიც ისეა აგებული ცენტრის მიერ, რომ დოქტორანტს შეუძლია აიღოს ერთიდან ხუთამდე ტრენინგი (ამ ეტაპზე მხოლოდ ხუთი აქტიური ტრენინგია), სტუდენტი იღებს მხოლოდ სწავლებასთან დაკავშირებულ ტრენინგებს, ამიტომ ევროპული მოდელის გათვალისწინებით დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ამ ტიპის უნარი, რომელიც ასისტირების წინაპირობაა, რომელიც ფასდება გარკვეული შეფასების კომპონენტებითა და კრიტერიუმებით, საბოლოო ჯამში პროგრამის მიხედვით სწავლების უნარი ფასდება, დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ასისტირებაზე დაშვების წინაპირობა უნდა იყოს ტრენინგი და არა სასწავლო კურსი, რადგან ეს თანამედროვე ტენდენციებს შეესაბამება. გარდა ამისა დაწესებულებას „ჰორაიზონზე“ ჰქონდა შეტანილი აპლიკაცია, როდესაც უნდოდათ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა, ზოგიერთი უნარების ნაწილი გადატანილი იყო ტრენინგების მოდულში და ტრენინგების გავლის შემდეგ დგინდებოდა კომპეტენცია.

ასოცირებული პროფესორი, დავით ოთიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გორდისის მეექვსე გამოცემასთან მიმართებაში მსგავსი რეკომენდაცია მოულოდნელი იყო, რადგან ბოლო გამოცემა და არ არის გამიზნული სწავლის რომელიმე საფეხურისთვის, სხვადასხვა უნივერსიტეტში გამოიყენება, როგორც სადოქტორო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე სწავლებისთვის ჯონ ჰოპკინსის ბლუმბერგის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში, სადაც თვითონ სწავლობდა აღნიშნული სახელმძღვანელო გამოიყენება ორივე საფეხურზე, გააჩნია რომელ საკითხებზეა ფოკუსი. მან განმარტა, რომ „ეპიდემიოლოგიის“ სილაბუსში გადიან ეპიდემიოლოგიურ საზომებს და ცვლადებს, მაგრამ ძირითადი აქცენტი კეთდება ეპიდემიოლოგიური კვლევის დიზაინზე, კონკრეტული დიზაინის სუსტ და ძლიერ მხარეებსა და კრიტიკულ ანალიზზე, ცდილობენ დოქტორანტს განუვითარონ კრიტიკული აზროვნების

უნარი და შესაძლებლობა შეარჩიონ და გამოიყენონ კვლევის სწორი, შესაბამისი მეთოდოლოგია, ასევე კურსში ყურადღება ექცევა ეპიდემიოლოგიური კვლევების შედეგების აპლიკაცია/გამოყენებას საჯარო პოლიტიკის ფორმირებისას და ა.შ. თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციების გამოყენებასა და სილაბუსში მათ მითითებას, ბუნებრივია სწავლის პერიოდში გამოიყენებენ თანამედროვე პუბლიკაციებს, თუმცა კურსის სტრუქტურა ისეა აწყობილი, რომ სტუდენტი თვითონ მოიძიებს ლიტერატურას, პროფესორის დახმარებითა და ზედამხედველობით, რომლებიც ეხმიანება მისი კვლევის თემატიკას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო ბაზებზე წვდომას, მაგრამ სტუდენტი თვითონ მუშაობს ამ მიმართულებით და მისი მოსაზრებით, მინიმუმ ორ მიზანს ისახავენ: 1. სტუდენტისთვის შესაბამისი მიმართულების ლიტერატურის მოძიება და 2. დოქტორანტს ასწავლიან როგორ უნდა მოიძიოს ლიტერატურა, გაარჩიოს სანდო წყარო არა სანდო წყაროსგან და ა.შ. აქედან გამომდინარე, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ იზიარებს, რადგან სასწავლო მასალა „ეპიდემიოლოგიასა“ და „ბიოსტატისტიკაში“ არის იმ მიზნების შესაბამისი, რომელსაც სასწავლო პროგრამა ისახავს.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შეფასების კრიტერიუმებს დავით ოთიაშვილმა განაცხადა, რომ „ეპიდემიოლოგიის“ სასწავლო კურსის სილაბუსში წარდგენილი შეფასების სისტემა, ეფუძნება მის პირად და კოლეგების წარმატებულ გამოცდილებას, რომელსაც წარმატებით იყენებს მრავალი წლის მანძილზე, რადგან ის ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებს და იყენებს მრავალკომპონენტთან გრადაციის სისტემებს, მაგ., 16-19 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი და სიღრმისეულია; დოქტორანტი აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს, მსჯელობა მეტწილად დასაბუთებული და თანმიმდევრულია; სრულად გამოყენებულია პროგრამით გათვალისწინებული მასალა; პასუხი მეტწილად მოიცავს საკითხის კომპლექსურ ანალიზს; აღნიშნული მოიცავს 5 კრიტერიუმს/პარამეტრს, იმას თუ რა ქულა დაიწერება აღნიშნული ბიჯის ფარგალში 16-დან 9-მდე დამოკიდებულია ამ ბიჯის რამდენი პარამეტრი/კრიტერიუმი შეესაბამება ამ ბიჯში აღწერილ შეფასებას, წარდგენილი შეფასების სისტემა „ეპიდემიოლოგიის“ მაგალითზე წარმოადგენს ნათელ და ობიექტურ სისტემასა და კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც ხდება სტუდენტის ნაშრომის შეფასება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ელენე ჟურავლიოვამ განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველსემესტრულად ახდენს კურსებით კმაყოფილების მონიტორინგს, კითხვარის მეშვეობით და იქ ერთ-ერთი კითხვაა რამდენად გამჭვირვალე იყო შეფასების სისტემა სტუდენტისთვის, ამიტომ ამ კუთხით არანაირი პრობლემა არ ყოფილა, მაგრამ თუ სისტემა იქნებოდა გაუმჭვირვალე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იღებს ამაზე ინფორმაციას და მუშაობას იწყებს პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ასოცირებული პროფესორი, ნინო მირზიკავშილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რომლებმაც განსახილველ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით გაუზიარეს მოსაზრებები და რჩევები დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ უძღვება კურსს „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და ადვოკატირება“ იგი არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რადგან თვლის, რომ კურსის მოცულობა სტუდენტების დატვირთვის შესაბამისია, გამოყოფილია 6 კრედიტი, რომელიც მოიცავს 150 საათს, საიდანაც მხოლოდ 32 საათი არის საკონტაქტო, დანარჩენი დამოუკიდებელ სამუშაოს ეხება. მნიშვნელოვანია კურსის მიზანია, რომ თანამედროვე მტკიცებულებების გამოყენებით დოქტორანტს მიეცეს ახალი ცოდნა, ჯანდაცვის პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებში და გააცნონ ადვოკატირების მექანიზმები. როდესაც დოქტორანტს იღებენ, არ აძლევენ საბაზოსო ცოდნას აღნიშნული მიმართულებით. კურსი ორიენტირებულია, რომ სტუდენტმა დამოუკიდებლად განავითაროს უნარ-ჩვევები და შეფასების სისტემაც მეტყველებს ამ საკითხზე, კონკრეტულად დოქტორანტი, შეფასების დროს წერს პოლიტიკის ანგარიშს (5-დან 8 გვერდამდე მოცულობის), და მთელი კურსი ეთომობა ანგარიშის განვითარებას, შემდეგი ეტაპი

არის ადვოკატირება, კონკრეტული თემით, რომელსაც აღნიშნულ ანგარიშში განავრცობს, მას უნდა ჰქონდეს უნარჩვევები, რომ შეძლოს კონკრეტული პოლიტიკის თემის ადვოკატირება გადაწყვეტილების მიმღებებთან, აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ის მოცულობა, რომელიც ამ კურსს აქვს 150 საათი, სრულიად საკმარისია, რომ სტუდენტმა განივითაროს ზემოაღნიშნული უნარ-ჩვევები, რაც ჯანდაცვის ეკონომიკისა და პოლიტიკისთვის სჭირდება. გარდა ამისა არჩევით საგნებში არის „გლობალური ჯანმრთელობა“, რომელიც იაგორ კალანდამეს მიჰყავს და ახალი მიდგომის საგანია ჯანდაცვის პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან ერთად, თუ სტუდენტს ამ მიმართულებით ჩაღრმავება ან სხვა რაკურსით ცოდნის მიღება დასჭირდება, რომელიც გლობალურ ჯანმრთელობას ეხება, მას აქვს საშუალება აირჩიოს აღნიშნული საგანი და განივითაროს ცოდნა ამ მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, რომ 6 კრედიტი არ არის საკმარისი, რადგან სტუდენტი საბაზისო ცოდნას ამ მიმართულებით სადოქტორო საფეხურზე არ იღებს.

რეკომენდაცია 8-სთან დაკავშირებით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ელენე ჟურავლიოვამ განაცხადა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი უნივერსიტეტია, სადაც სადოქტორო პროგრამები არის სრულიად უფასო, შესაბამისად არ ხდება თვითდაფინანსება, მაგრამ, რადგან კვლევა არის უნივერსიტეტის პრიორიტეტი, რომელიც მისიაში და სტრატეგიაშიც არის განსაზღვრული, უნივერსიტეტს აქვს შედგენილი კვლევითი ბიუჯეტი, გარდა ამისა რისკების შესამცირებლად არსებობს ბევრი მექანიზმი, ისევე როგორც დოქტორანტების დაფინანსება, შედეგების დესიმილაციისთვის, კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, არსებობს ინფრასტრუქტურის ინსტიტუციური გრანტები, კვლევითი ინსტიტუციების შიგნით არსებული საბაზისო დაფინანსების პროგრამები. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ძალიან კარგად დაახასიათა დაწესებულება, როგორც სამეცნიერო გრანტების მფლობელები და ამ რესურსის გასაძლიერებლად სამეცნიერო კვლევების კორდინაციის სამსახური და საბჭოც კი არსებობს, იმდენად პრიორიტეტია კვლევა. რაც შეეხება ბიუჯეტირების წესს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის სახელმწიფო ორგანიზაცია, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აქვთ დამტკიცებული ბიუჯეტირების წესი და მათ შემთხვევაში არ გულისხმობს ცალკეული პროგრამისთვის მდგრადი და თვითდაფინანსებული ბიუჯეტის შედგენას, როგორც წესი ეს ხდება, ზოგიერთი პროგრამის ან შემოსული სამეცნიერო გრანტების ხარჯზე კვლევითი პრიორიტეტების დაფინანსება. დამატებითი შემოსავლის წყაროს შესახებ მან განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამა არის ინგლისურენოვანი, გადაწყვეტილია, რომ უცხოელი სტუდენტების სწავლების საფასური არ ფინანსდება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ბიუჯეტს და შეამცირებს იმ რისკებს, რომლებზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი, ირმა წერეთელი დაინტერესდა, რადგან ახალ პროგრამად განიხილება და შესაბამისად ექსპერტებს დაცული ნამუშევარი არ უნახავთ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ ლობჯანიძის თქმით მან აღნიშნა, რომ 2011 წლიდან მიმდინარე წლამდე მუშაობს სადოქტორო პროგრამა, არის ორი კურსდამთავრებული, ექსპერტებმა ნახეს ორივე დისერტაცია, გაიცნეს და გაესაუბრნენ მათ, შედეგი იყო დადებითი, ყველა მოთხოვნაში ჯდება, რაც მოთხოვნილია დოქტორანტს, კვლევების დიზაინი, წარმოდგენის ფორმატი თუ სხვა, თუმცა ეს იყო მხოლოდ ორი ანგარიში, 2011 წლიდან მიმდინარე წლამდე არის 9 წელი, მათ შეცვალეს პროგრამა, ძველ პროგრამას ჰქონდა ორი მიმართულება, დატოვეს ერთი მათგანი და გადავიდა ინგლისურ ენაზე.

საბჭოს წევრმა დააზუსტა იყო თუ არა სადისერტაციო ნაშრომები ქართულ ენაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა და განმარტა, რომ ძველი პროგრამა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ნინო დობორჯგინიძემ დააზუსტა, რომ ადრე შესაძლებელი იყო ორი კვალიფიკაციის მინიჭება, შესაბამისად პროგრამის არა მარტო ენა შეიცვალა, არამედ გაიყო კიდეც, პროგრამის დიდი ნაწილი გადავიდა ბიზნესის ფაკულტეტზე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არსებობდა, რაღაც ეტაპზე პროგრამა გაიყო, შეიცვალა ენა, განახლდა გუნდი და წარდგენილია, როგორც ახალი პროგრამა, შესაბამისად ინგლისურენოვანი დაცვა ჯერ არ ყოფილა.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:28**

**დასრულების დრო: 18:48**

## **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, და მე-2 და მე-4 სტანდარტები ნაცვლად “მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” შეაფასა როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან”. საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

## **რეკომენდაციები:**

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დარგში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკის მიმართულებით ცოდნის დადასტურება.

## **რჩევები:**

ა) დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და კრიტერიუმები, შესაბამისი ცოდნისა და უნარების აპლიკანტების შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისად “მიღების პროცედურებისა და შეფასების სისტემის” დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული წინაპირობები გახდეს გაზომვადი და გამჭვირვალე;

ბ) პროგრამის კურიკულუმს ძირითადი საგნის სახით დაემატოს პედაგოგიკის სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდების შინაარსის მქონე კურსი;

გ) უახლესი სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის სახით შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალების/სტატიების ჩართვა საგნებში: ბიოსტატისტიკა, ეპიდემიოლოგია;

დ) საგნებში შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოხდეს ქულებისმეტადდაზუსტება, რათა ცხადი იყოს კონკრეტული ქულის მინიჭების პირობა;

ე) საგნის „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და ადვოკატირება“ მინიჭებული კრედიტის გაზრდა სასწავლო თემატიკების სიმრავლისა და სიღრმიდან გამომდინარე;

ვ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფუნდამენტურ მიმართულებებში /გარემოს ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგია და სხვა/ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის გაძლიერება, დამატება;

ზ) პროგრამული ბიუჯეტის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამული კონკრეტული ხარჯები, კვლევითი კომპონენტის დაფინანსების წყაროები, იდენტიფიცირებული იქნება რისკები და მათი გადაჭრის გზები;

თ) სასურველია „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევის“ ფარგლებში დამსაქმებელთა ფართო სპექტრის (მ.შ., სურსათის უვნებლობის სამსახურები, გარემოს ჯანმრთელობის მიმართულებით დაკავებული სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადამდები დაავადებების დეპარტამენტები, სამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ხარისხის სამსახურები) ჩართვა, მეტი უკუკავშირი დამსაქმებლებთან;

ი) ჩანაწერი „მედიცინის სფეროს მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი“-საჭიროებს დაზუსტებას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების 69/52019 წლის ბრძანების შესაბამისად;

კ) პერიოდულად განახლებული სამეცნიერო ლიტერატურის შეტანა სილაბუსებში;

ლ) პროგრამით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დოქტორანტის ფინანსური ვალდებულებების დაზუსტება.

მ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის კვლევით დაკავებულ საქართველოს სხვა ალტერნატიულ სკოლებთან ერთობლივი პროექტების შემუშავება;

ნ) სადისერტაციო შრომათა ვებ გვერდზე განთავსების, უნივერსიტეტის და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაბარების სავალდებულო წესის შემუშავება;

ო) ელექტრონულ ვერსიებთან ერთად დაწესებულებაში არსებობდეს სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელოს ერთი მატერიალური ეგზემპლარი/სტანდარტი;

პ) სასურველია თვითშეფასების განხორციელების პროცესში სტუდენტების მეტი ჩართულობა;

ჟ) პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა ღრმა ანალიზის მომცველი პროგრამის გარე შეფასება;

რ) პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა გარე შეფასებაში დამსაქმებლების მჭიდრო უკუკავშირი.

#### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

**18:49 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა დიმიტრი გეგენავამ.**

**მესამე საკითხი:** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს “ჟურნალისტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| №  | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ                                                         |                                                     |
|----|------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------|
| 1  | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                                                                 | ჟურნალისტიკა                                        |
| 2  | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა                                                          | -                                                   |
| 3  | სტატუსი                                                                                              | აკრედიტებული                                        |
| 4  | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა                  | 24.03.2020<br>გადაწყვეტილება N 47                   |
| 5  | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება                          |                                                     |
| 6  | უმაღლესი განათლების საფეხური                                                                         | ბაკალავრიატი                                        |
| 7  | კვალიფიკაციის დასახელება                                                                             | ჟურნალისტიკის ბაკალავრი                             |
| 8  | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | -                                                   |
| 9  | სწავლების ენა                                                                                        | ქართული                                             |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა                                                                     | 240                                                 |
| 11 | განხორციელების ადგილი                                                                                | საქართველო, 0144, თბილისი, სამგორი, წინანდლის ქ. №9 |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება                  | -                                                   |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტმა, ხათუნა კაჭარავამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ვადაში წარადგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, გაცემული იყო 12 რეკომენდაცია, რომლებზეც უნივერსიტეტმა წარადგინა საკუთარი მოსაზრება. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის 21 აპრილს სეუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც დაწყო მუშაობა რეკომენდაციებზე. ექსპერტმა გააერთიანა რამდენიმე რეკომენდაცია, რადგან თითქმის ერთგვარი საკითხებია, მაგ., ლიტერატურის გამოყენებას და ა.შ.

ექსპერტის განცხადებით „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის ანგარიში რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით შეფასდა, როგორც:

რეკომენდაცია 1 - დამახასიათებელია ჟურნალისტიკის პროგრამებისთვის არის პრაქტიკის ნაწილთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია სტუდენტებისა და ცენტრისგან მოთხოვნა არის, რომ ჟურნალისტიკაში გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკის ელემენტები, სწორედ ამას ეხებოდა პირველი რეკომენდაცია - საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები მეტად გაჯერდეს პრაქტიკული მაგალითების განხილვა-ანალიზით, გაძლიერდეს ჟურნალისტიკის სფეროს პრაქტიკული კომპონენტი და საგნებში გათვალისწინებულ იქნას სფეროსთან დაკავშირებული სიტუაციური მაგალითების განხილვის ანალიზი - ანგარიშში გათვალისწინებულია აღნიშნული რეკომენდაცია, საგნები, რომლებიც გულისხმობს პრაქტიკულ ნაწილს, მაგ., „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, „რეკლამა მედიაში“, „ბეჭდური მედია 1-გაზეთი“, რომელიც თავისთავად გულისხმობს პრაქტიკის ნაწილს, ექსპერტის მოსაზრებით ზემოაღნიშნულ საგნებში აუცილებლად უნდა იყოს ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი, თუმცა ასევე გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები და წარდგენილია მთელი რიგი საგნები, რომლებიც უფრო მეტად გაძლიერდა პრაქტიკული ნაწილით, მაგ., „საგამოძიებო ჟურნალისტიკა“, „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, „კონფლიქტების და კრიზისული სიტუაციების გაშუქება“, რაც ექსპერტის მოსაზრებით ძალიან თანადროულია დღეს ჟურნალისტიკის პროგრამისათვის, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის პირველი რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია 2 - დაკავშირებულია ლიტერატურასთან, რაც ტიპური შენიშვნა/რეკომენდაციაა, რადგან ჟურნალისტიკაში მუდმივად არის ლიტერატურის დეფიციტი და აღნიშნული დარგი მუდმივად ითხოვს ლიტერატურის განახლებას, მაგრამ გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია - ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსში „ვიზუალური თხრობა“ მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსი მთლიანად აწყობილია ვიზუალური მასალის შექმნა-ანალიზზე,

სასურველია, მითითებულ იქნას ლიტერატურა, ინტერნეტ რესურსი მაინც, რეკომენდაცია შესრულებულია და დამატებულია სახელმძღვანელო „ტელეჟურნალისტიკა“ და გარდა ამისა დამატებულია ინტერნეტ საიტებიც.

რეკომენდაცია 3 - დაკავშირებულია ლიტერატურასთან - განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ძირითადი ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსებში, სადაც წარდგენილია ნუსხა იმ ლიტერატურისა, რომელიც დამატებულია მას შემდეგ, რაც ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა სილაბუსები. უნივერსიტეტმა დამატებით შეიძინა შემდეგი სასწავლო ლიტერატურა: ცისკარიშვილის - „ფოტოჟურნალისტიკა“, ვერიფიკაციის რესურსი-„მითების დეტექტორის“ გზამკვლევი და ა.შ. ექსპერტმა დასძინა, რომ მუდმივად უნდა განახლდეს ლიტერატურა, ახალი ლიტერატურა გამოსვლისთანავე უნდა შეიძინოს დაწესებულებამ, რადგან ძალიან სწრაფად იცვლება ჟურნალისტიკის დარგი, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით.

რეკომენდაცია 4 –უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა და მათი პროფესიულ განვითარებაში ჩართვის ხელშეწყობა - უნივერსიტეტის სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, სამეცნიერო კვლევის განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტში შეიქმნა კვლევის მხარდაჭერის უფრო ძლიერი მექანიზმი, ვიდრე ეს მანამდე იყო, შექმნა პროექტების მენეჯერის შტატი, ინსტიტუციური კვლევის ფონდი. ექსპერტის მოსაზრებით უნივერსიტეტის მხარდაჭერა დაეხმარება აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო მიმართულებით ზრდაში.

რეკომენდაცია 5 - გაღრმავდეს ურთიერთობა პროგრამის განმახორციელებლებსა და დამსაქმებლებს შორის - უნივერსიტეტის მიერ მუდმივად ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციების - პროგრამაში ჩართულნი არიან დამსაქმებლები, კონკრეტულად დაწესებულება თანამშრომლობს „იმედთან“, „რუსთავი 2-თან“, „მთავარ არხთან“, „ერთსულოვნებასთან“, ასევე ასწავლიან სხვადასხვა ტელეკომპანიის წარმომადგენლები, აქედან გამომდინარე, ექსპერტის მოსაზრებით, რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან დაწესებულებას წარდგენილი აქვს საკმაოდ შთამბეჭდავი ნუსხა იმ ორგანიზაციებისა, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომლებიც არ არის მხოლოდ ფორმალური მხარე და გათვალისწინებულია რეალურადაც.

რეკომენდაცია 7 - სასწავლო კურსი „ფოტოჟურნალისტიკა“ თავისი შინაარსით შეესაბამება საგანს „ფოტოგრაფია“, ძირითად სახელმძღვანელოდ მითითებულია „ფოტოგრაფიის სახელმძღვანელო“, უნდა მოხდეს საგნის შინაარსის გადახედვა საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სფეროს გათვალისწინებით. ასევე, საჭიროა ძირითადი ლიტერატურის განსაზღვრა/გამოყენება - დაწესებულების წარმომადგენლებმა იმუშავეს აღნიშნულ რეკომენდაციაზე, მოხდა აღნიშნული ორი საგნის გაერთიანება და მათი თემატიკის შეჯერებით ოპტიმალური საგნის შეთავაზება სტუდენტებისათვის, ასევე დამატებულია სახელმძღვანელო ცისკარიშვილის - „ფოტოჟურნალისტიკა“, თუმცა კიდევ არსებობს სხვა სახელმძღვანელოები ფოტოგრაფიის სპეციფიკასთან დაკავშირებით და აღნიშნული სახელმძღვანელოებიც გამოყენებულია.

რეკომენდაცია 8 - გადაიხედოს და განვითარდეს საგანი „ახალი მედია“, აქცენტი არ უნდა კეთდებოდეს ძირითადად Facebook-ზე - ექსპერტის მოსაზრებით ეს საკმაოდ სადაო საკითხია, თუმცა ჩამოთვლილია სოციალური მედიის დანარჩენი პლატფორმები, Youtube, Twitter, Instagram და სხვა, შეიძლება Facebook-ზე იმიტომ იყო განსაკუთრებული აქცენტი, რომ



რეგიონში განსაკუთრებით პოპულარულია, ხოლო აშშ-ში უფრო აქტუალურია Twitter, თუმცა დაწესებულების მხრიდან არის სერიოზული არგუმენტაცია მისი შესახებ, რომ მხოლოდ Facebook-ზე არ არის აქცენტი გაკეთებული და სხვა სოციალური მედიაც არის წარდგენილი.

რეკომენდაცია 9 - გადაიხედოს „სამაუწყებლო მედია II-ტელევიზია“ სტრუქტურა და შინაარსი, სასწავლო ლიტერატურა - დაემატა ლიტერატურა, ჩართოლანის „ტელევიზია“- I ნაწილი, „ტელე-რადიო ჟურნალისტიკა“, ასევე, დაემატა რამდენიმე საკითხი.

რეკომენდაცია 10 - დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსის „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“ სწავლების მიზანშეწონილობა. ყურადღება გამახვილდეს საგნის დასახელებასა, მიზანსა და მისაღწევ საგნის შედეგებზე - ექსპერტმა განაცხადა, რომ მოყვანილია არგუმენტი რას შეისწავლიან სტუდენტები სასწავლო კურსში „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“, მისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“ არის დისციპლინა, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ჟურნალისტიკის პროგრამაში, რადგან დაფუძნებულია კრიტიკულ აზროვნებაზე, გააქტიურებულია სწავლის სინთეზური მეთოდი.

რეკომენდაცია 12 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევითში), კურსების შინაარსზე დაყრდნობით დამატებულ იქნას თანამედროვე უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული შესაბამისი ლიტერატურა, მათ შორის სასწავლო მასალები (შესაძლებელია ვიდეო ლექციები) - ექსპერტის მოსაზრებით, მუდმივად უნდა ახლდებოდეს ლიტერატურა, როგორც თარგმნილი, ასევე ქართული ლიტერატურით. ვიდეო ლექციების შეთავაზებასთან დაკავშირებით, უკვე ისეთი აქტუალურია, რომ მუდმივად გადასულები არიან ამ ფორმატზე, თუმცა ეს რეკომენდაციის შესრულებად ვერ ჩაითვლება, რადგან პანდემიამ განაპირობა.

ექსპერტის მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის შეთავაზებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ, რაც ძალიან წაადგება პროგრამას.

**18:52 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ზურაბ ორჯონიკიძემ.**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ხარიხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნონა ზუმბაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს. მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლებს არაფრის დამატება არ სურდათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 19:04**

**დასრულების დრო: 19:07**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**19:07 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი თურქიამ.**

**მეოთხე საკითხი:** შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

| №  | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ                                                         |                                                     |
|----|------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------|
| 1  | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                                                                 | ფსიქოლოგია                                          |
| 2  | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა                                                          | -                                                   |
| 3  | სტატუსი                                                                                              | აკრედიტებული                                        |
| 4  | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა                  | 19.03.2020<br>გადაწყვეტილება N39                    |
| 5  | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება                          |                                                     |
| 6  | უმაღლესი განათლების საფეხური                                                                         | ბაკალავრიატი                                        |
| 7  | კვალიფიკაციის დასახელება                                                                             | ფსიქოლოგიის ბაკალავრი                               |
| 8  | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | -                                                   |
| 9  | სწავლების ენა                                                                                        | ქართული                                             |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა                                                                     | 240                                                 |
| 11 | განხორციელების ადგილი                                                                                | საქართველო, 0144, თბილისი, სამგორი, წინანდლის ქ. №9 |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება                  | -                                                   |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მეთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტი, თინათინ ფანცულაია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ 2020 წელს, აღნიშნულმა პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია, თუმცა არსებობდა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საბჭოს მიერ გაჟღერებული რეკომენდაცია ფორმულირებული იყო შემდეგნაირად:

„სასწავლო კურსში არსებული სწავლება-სწავლის მეთოდები გადაიხედოს და თითოეულმა კომპონენტმა გაითვალისწინოს კონკრეტულად ამავე კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, რომელიც, ამავე დროს, უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის №3 ბრძანება მოთხოვნებს“.

მან განიხილა პროგრამა, თანდართული ბრძანება და სილაბუსები, რომლის საშუალებითაც მიეცა საშუალება შეედარებინა რა ტიპის ცვლილებები განხორციელდა პროგრამასა და სილაბუსებში მას შემდეგ, რაც პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია. პროგრამის სილაბუსები, სტრუქტურა და დაწესებულების ანგარიში ნათელს ჰფენს თუ რა ნაბიჯების მიხედვით იქნა გათვალისწინებული კონკრეტული რეკომენდაცია, რომელიც სრულად არის გათვალისწინებული/ასახულია პროგრამასა და სილაბუსებში, როგორც ძირითადი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. ის შესაბამისობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის №3 ბრძანების მოთხოვნებთან და ცალსახად შეესაბამება სტანდარტს.

რჩევებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ეს იყო არა აკრედიტაციის საბჭოს, არამედ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი. ექსპერტმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს სათითაოდ განეხილა რჩევები თუ მოეხდინა მათი რანჟირება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ანგარიშის მოსმენისა და პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვისას საბჭო ყურადღებას ამახვილებს რეკომენდაციებზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ასახულია პროგრამის სტრუქტურასა და ყველა სილაბუსზე. რაც შეეხება რჩევებს, მათი უმრავლესობა გათვალისწინებულია, ნაწილი ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა რამდენიმე რჩევაზე დაწესებულებამ არგუმენტირებულად ითქვა უარი.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული და მადლობა გადაუხადა ექსპერტს.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ მოსაზრებები და კითხვები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 19:14

დასრულების დრო: 19:16

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13


წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**საბჭოს სხდომა დასრულდა 19:17 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
თიკანაშვილი ნიკა

